



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N05

ქ. მარნეული

13.05.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ტარიელ მამედოვი, რიჩარდ გიგანი, როვშან ისკანდაროვი, ბესიკ გელენიძე, თეონა ფარჯიანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, მაია გელაშვილი, ანარ პირიევი, მახარატ ალახვერდიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, ნარგიზა ალიევა, მეხტი ასკეროვი.

არ ესწრებოდა:

ვასილ ხახულაშვილი, ლაშა ქველაძე, ვანო ბურნაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ადილ გურბანოვი, ომარ ირიშოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, გიუნაშ რიზაგულიევა, დავით ქიმაძე, მარინა პეტროვა.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **როინი დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **მამუკა შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და განვითარების პროცესის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი **დავით მუმლაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დავით ხარშილაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **ბესიკ სეხნიაშვილი**, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა - ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს უფროსი **ზაურ კარიშოვი**,

შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს ტექ. მენეჯერი აკაკი ხარშილაძე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე შერმადინ ბოჭოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი კოტე ბოჭოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები ხელმძღვანელთა სია თან ერთვის.

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

ასევე ესწრებოდნენ:

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.
3. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი ახალი დიოკნისის ქუჩების და სკვერის სახელდების შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსის 2022 წლის 11 მაისის N07-3222131252 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
7. საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2022 წლის 28 მარტის N2762/4-9/22 წერილის განხილვის შესახებ.
8. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N32-3222131198 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N07. 13.05.2022 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 აპრილის N32-3222110177 წერილით წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა ითხოვა მხარდაჭერა, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიში შედეგების მიხედვით შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N19. 13.05.2022 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 მაისის N32-322213377 წერილით წარმოდგენილი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N20. 13.05.2022 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 მაისის N32-322213364 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N08. 13.05.2022 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 05 მაისის N01/1404 წერილით შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2022 წლის 19 აპრილის N31 სხდომის ოქმის ამონაწერი, რომლითაც მოწონებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 18 თებერვლისა და 11 აპრილის წერილებით წარდგენილი განკარგულების პროექტი და ითხოვა მხარდაჭერა, რათა დამტკიცდეს სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი ახალი დიოკნისის ქუჩების და სკვერის სახელდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N21. 13.05.2022 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N32-3222131292 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის 2022 წლის 11 მაისის N07-3222131252 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 121-ე მუხლის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 83.02.02.868) შემდგომში მსუბუქი ინფრასტრუქტურული კონსტრუქციის დასადგმელად პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით მიეცეს მოქალაქე დავით ალთუნაშვილს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N22. 13.05.2022 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის 2022 წლის 28 მარტის N2762/4-9/22 წერილით წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო აუდიტის მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად მოხდა გატარებული ღონისძიებების მოსმენა სამსახურების მიხედვით. აღინიშნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს, არსებულ რეკომენდაციებზე მომზადებული აქვთ პასუხები და გადაგზავნილია საქართველოს სახელმწიფო აუდიტში, ასევე ხდება ამ რეკომენდაციების დამუშავება და მისი მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა პროგრამულად.

აღნიშნული საკითხი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N23. 13.05.2022 წ.).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეხუთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე